საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ **202178927**

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE AGENCY

KA030428522833318

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/20546 **10 / აპრილი / 2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა
და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს, ქალბატონ სოფიკო ბელქანიას

ქალბატონო სოფიკო,

თქვენი მიმდინარე წლის 4 აპრილის N01/19915 წერილობითი მომართვის პასუხად, გაცნობებთ, რომ საყოველთაო ჯანმთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეთათვის გათვალისწინებულია:

ა) გეგმური ქირურგიული ოპერაციები (მათ შორის, ონკოქირურგიული ოპერაციები). ასევე გეგმურ ქირურგიულ ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებული წინასაოპერაციო, ოპერაციის მსვლელობისას განხორციელებული და პოსტოპერაციული პერიოდის ყველა ტიპის ლაბორატორიული, ინსტრუმენტული გამოკვლევები − წლიური ლიმიტი 15 000 ლარი. ითვალისწინებს პროგრამის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხის 70-100% თანაგადახდას სახელმწიფოს მხრიდან;

ბ) ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა (მათ შორის, დღის სტაციონარი), კერძოდ, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია და ამ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევები და მედიკამენტები – წლიური ლიმიტი 12 000-15 000 ლარი, ითვალისწინებს 80-90-100%-იან თანაგადახდას სახელმწიფოს მხრიდან;

გ) გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურება, კრიტიკული მდგომარეობების და ინტენსიური თერაპიის ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც სამედიცინო მომსახურების საჭიროება დგება თვითდაშავების შედეგად

სამედიცინო მომსახურების მიღებისას, თუ მოსარგებლის მხრიდან ვერ ხდება პროგრამით გათვალისწინებული თანაგადახდის ანაზღაურება, თანადაფინანსების მისაღებად მას შესაძლებლობა აქვს მიმართოს ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფარგლებში, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო უზრუნველყოფს „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილებით დამტკიცებული „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის (დანართი N12) ადმინისტრირებას, რომლის მიზანია ფსიქიატრიული მომსახურების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა საქართველოს მოსახლეობისთვის.

ამასთან, მსგავსი საკითხები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რეგულირდება საქართველოს კანონით ფსიქიატრიული დახმარების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ფსიქიატრიული დახმარების სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს და უზრუნველყოფს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის ფსიქიატრიული დახმარების ხელმისაწვდომობას და უწყვეტობას, აღნიშნულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და ღირსების დაცვით.

პატივისცემით,

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის
დეპარტამენტის უფროსი

მაია მაღლაკელიძე-ხომერიკი